



N 4113-02  
26/04/2016

ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ადმინისტრაციული ერთეული

N2 ოლქი

2015 წლის ანგარიში

1. 1 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებს საჩუქრად გადაეცათ 88 ერთეული სასაჩუქრე კომპლექტი და თეატრის ბილეთები.
2. 9 მაისის ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით სამამულო ომის 3 (სამ) ვეტერანს გადაეცა პრემიერ მინისტრისა და ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის ფულადი თანხა და საჩუქრები. ფულადი ჯილდო 1500 ლარის ოდენობით.
3. მოხდა დ.გარეჯის ქ. N4ა (ყოფილი საბავშვო ბაღი) შენობის გაზიფიკაცია.
4. რეაბილიტირებულ იქნა ბეტონისა და ასფალტის საფარი ძველი საკოლმეურნეო ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე მაიაკოვსკის ქ. N6ა-სთან (სოციალურად დაუცველთა საცხოვრებელი) მისასვლელ გზაზე (33300 ლარი).
5. მოეწყო ქიმიკოსთა კულტურის სახლის მიმდებარე სკვერი (დაიგო ფილაქანი, დამონტაჟდა ახალი სკამები და ნაგვის ურნები, განახლდა გარე განათება).
6. რუსთაველის ქ. N44 კორპუსის წინ დამონტაჟდა მგზავრთა მოსაცდელი.

7. შეკეთებულ იქნა რუსთაველის N13-ში მდებარე მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის სახურავი და გამაგრდა საძირკველი. ღირებულება 15790 ლარი.

8. რუსთაველის N19-ში მდებარე ბიბლიოთეკის შენობის ვიტრაჟებისა და კარ-ფანჯრების რეაბილიტაცია. ღირებულება 34581 ლარი.

9. კონსტიტუციის ქ. N19-ში სტიქიის შედეგად დაზიანებული აივნის რეაბილიტაცია.

10. გაილესა ბათუმის ქ. N 36 კორპუსის ფასადის ნაწილი.

11. მოხდა N8 საბავშვო ბაგა-ბაღში სველი წერტილების მოწყობა. პროექტის საერთო ღირებულება 27956 ლარი.

12. კომპანია „რუსთავის წყალი“-თან აქტიური თანამშრომლობის შედეგად,გამოიცვალა ოსტროვსკის ჩიხის წყლის მილის 70 მეტრიანი მონაკვეთი; დავით გარეჯის ქ. 4-6 და კონსტიტუციის ქ. 63 85მ; მაიაკოვსკის ქ.17-სა და19-ს შორის 31მ; დავით გარეჯის ქ. 8 და რუსთაველის ქ.50-52-ის ეზო 150მ; დავით გარეჯის ქ. 10-12-14 და რუსთაველის ქ. 37 236მ; მაიაკოვსკის ქ.19-21 ცენტრალური და ეზო 126მ; მაიაკოვსკის ქ. 21-23 შორის 30მ. ჯამში რეაბილიტირებულია წყალგაყვანილობის მილის 728მ სიგრძის მონაკვეთი. გაიწმინდა მაიაკოვსკის ქ. N6, დ.გარეჯის ჩიხის N4, N6 , N9 საჯარო სკოლისა და ბალანჩივადის ქ. N6 კორპუსების და ოსტროვსკის ქუჩის, ჩიხის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული საკანალიზაციო სისტემა სპეციალური გამწმენდი მანქანით „კაპელოტ“-ით.

13. მაიაკოვსკის ქ. N6 კორპუსთან მოხდა სანიაღვრე სისტემის სრული რეაბილიტაცია.

14. რეაბილიტირებულ იქნა მაიაკოვსკის ქ. N 16 და რუსთაველის ქ. N23- N25 კორპუსების წინ მდებარე საკანალიზაციო-სანიაღვრე ჭის დაზიანებული სახურავები.

15. რუსთაველის ქ. N38 კორპუსში მოხდა ძველი აივნების დემონტაჟი,მიშენდა ახალი აივნები.


16. მოიჭრა და გადაიბელა ხეები ბათუმისა და ასლანიკაშვილის მიმდებარე სკვერებში,რუსთაველის ქუჩაზე, დ.გარეჯის ქ.N1, მაიაკოვსკის ქ. N5 და დ.გარეჯის ქ. N12 კორპუსების წინ.

17. ადმინისტრაციული ერთეულის მთელ ტერიტორიაზე გამოიკვალა ნაგვის ურნები
18. მოეწყო დასუფთავების და გამწვანების აქციები, დაირგა ნერგები N8 ბაგა-ბადის ტერიტორიაზე.
20. „ბრიტიშ-პეტროლიუმ“-ის საწყობის მშენებლობაზე დასაქმდა ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები 22 მოქალაქე: 14- მუშად, 4-პრევენციისა და უსაფრთხოების ოფიცრად, 1-სასაწყობო ტერიტორიის დამლაგებლად, 3- დამხმარე მუშად.
21. სოციალურად დაუცველ ოჯახებს გაეწიათ დახმარება--უფასოდ გადაეცათ შეშა.
22. აღმაშენებლის გამზირიდან გარეჯის 2-მდე მოეწყო გარე განათება. საერთო ღირებულება 138900 ლარი.
23. სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან 15-დან 18 წლამდე მოზარდი (13 მოზარდი) გაიგზავნა კოჯრის საზაფხულო ბანაკში დასასვენებლად.
24. სოციალურად დაუცველ პენსიონრებს (25 პენსიონერი) ჩაუტარდა კატარაქტის უფასო გამოკვლევა.
25. ჩავატარეთ რუსთავ ქალაქობისადმი მიძღვნილი ღონისძიება „საუკეთესო ეზო“-ს გამოვლენა. გამარჯვებულს, კონსტიტუციის ქ. N63 კორპუსს საჩუქრად გადაეცა მაგიდის ჩოგბურთის კომპლექტი.
26. რუსთავ ქალაქობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრებ სოციალურად დაუცველ შალამბერიძეების მრავალშვილიან ოჯახს გადაეცა ტელევიზორი და სხვა საჩუქრები.
27. ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრებ 3 (ორ) შშმ პირს გადაეცა სამედიცინო ეტლი.
28. დამონტაჟდა 5 (ხუთი) საბავშვო ატრაქციონი: 1) დ.გარეჯის ქ. N15-ის, 2) დ.გარეჯის ქ. N16-ის, 3) დ.გარეჯის ქ. N6-ის, 4) ბალანჩივაძის ქ. N5-ის ეზოებში, 5) ბალანჩივაძის გას. N8-სა და N10 კორპუსებს შორის ეზოში.
29. გადაიხურა 27 საცხოვრებელი კორპუსი. საერთო ღირებულება 332136 ლარი.

30. წყალ-კანალიზაციის შიდა კომუნიკაცია გამოიცვალა 39 საცხოვრებელ კორპუსში. 2957გ.მ საერთო ღირებულება 64989 ლარი.
31. სადარბაზოს რკინის კარი დამონტაჟდა 9 კორპუსში. რაოდენობა 30, ღირებულება 16354 ლარი.
32. სადარბაზოს რემონტი კონსტიტუციის ქ.63, სამი სადარბაზოს ღირებულება 774 ლარი.
33. საწვიმარი მილი დამონტაჟდა 7 საცხოვრებელ კორპუსზე. 636გ.მ საერთო ღირებულება 6557 ლარი.
34. სენსორული განათება გაკეთდა 8 კორპუსში. 23 სადარბაზო, ღირებულება 5565 ლარი.
- 35.წითელ ხაზებში მოქცევა - 9 მაისის ქ.12 ღირებულება 272 ლარი.
36. სამკურნალო და საოპერაციო თანხებით უზრუნველყოფა გაეწია 95 ბენეფიციარს. აქედან, 1000-1500 ლარამდე დაფინანსება მიიღო 22 მოქალაქემ; 1500-2000 ლარამდე 8 ადამიანმა; 2000 ლარით დაფინანსდა 9 ბენეფიციარი. პროგრამით გაცემული სრული თანხა შეადგენს 62886 ლარს.
37. რუსთაველის გამზ. 30-ში არსებული (ქიმიკოსთა) სპორტული დარბაზის პირველი სართულის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოები. პროექტის ღირებულება 267000 ლარი.

პატივისცემით,

მამუკა აბაშიძე



ფრაქცია „ქართული ოცნება – კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო